

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი
დეპუტატის ნინო ბახტურიძის საქმიანობის წლიური
ანგარიში

(საანგარიშო პერიოდი: 2022 წლის 3 დეკემბერი - 2023 წლის 1 ოქტომბერი)

2021 წლის 3 დეკემბრიდან ვარ საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი და კულტურის, განათლების, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი. საანგარიშგებო პერიოდში ჩემი, როგორც საკრებულოს წევრის, საქმიანობა ხორციელდებოდა შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

პირველი მიმართულება მოიცავს საკრებულოს საქმიანობაში მონაწილეობას, რაც გულისხმობს საკრებულოს ერთი კომისიის საქმიანობასა და საკრებულოს სხდომებში მონაწილეობას. საანგარიშო პერიოდში ჩატარებული საკრებულოს 14 სხდომიდან დავესწარი 13-ს. საკრებულოს სხდომებზე ჩემ მიერ მხარდაჭერილ იქნა საკრებულოს სამუშაო გეგმით განსაზღვრული და დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

ჩატარდა კულტურის, განათლების, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის 8 სხდომა, აქედან დავესწარი 6-ს.

აღნიშნული კომისია, როგორც მოგეხსენებათ, შექმნილია მის სფეროს მიკუთვნებული საკითხების საკრებულოში წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს, მერიის სტრუქტურული ერთეულების, აგრეთვე მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით. კომისიის კომპეტენციის ფარგლებში განხილულ იქნა შემდეგი საკითხები:

1. სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის ხათუნა ადამონაშვილის 2022 წლის გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ;
2. სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირების რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ.
3. „სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირების რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შესახებ.
4. „სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოციალური დახმარების პროგრამა და მისი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 აპრილის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;
5. სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოციალური მიზნის მქონე პროექტების დაფინანსების/თანადაფინანსების პროგრამის განხორციელების წესის დადგენის შესახებ;
6. სიღნაღის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა ჯილდოს შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ;
7. სიღნაღის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2023-2024წ.წ. სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.
8. სიღნაღის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი.პ. სკოლისგარეშე დაწესებულება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორის ნელი დალაქიშვილის 2022 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ;

9. სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოციალური მიზნის მქონე პროექტების დაფინანსების/თანადაფინანსების პროგრამის განხორციელების წესის დადგენის შესახებ.
10. სიღნაღის მუნიციპალიტეტის ა(ა).ი.პ. „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ დირექტორის თენგიზ მოსულიშვილის 2022 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ;
11. „სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოციალური დახმარების პროგრამა და მისი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 აპრილის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.
12. ა(ა).ი.პ. „სიღნაღის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის“ დირექტორის მურად ვაშაკიძის 2022 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ;
13. ა(ა).ი.პ. „სიღნაღის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო და საგანმანათლებლო მომსახურების ცენტრის“ დირექტორის ნათელა ნადიკაშვილის 2022 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ.
14. სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის უფროსის ლია ბაკაშვილის 2023 წლის ექვს თვეში გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ;
15. ა(ა).ი.პ. „სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების“ დირექტორის თინათინ ბეგიაშვილის 2022-2023 სააღმზრდელო წლის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ.
16. ა(ა).ი.პ. „სიღნაღის მუნიციპალიტეტის სამუსიკო (სახელოვნებო) სკოლების გაერთიანების“ დირექტორის ლალი ფოლადაშვილის 2022-2023 სასწავლო წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ.

სხდომებზე მოვიწვიეთ ზემოთ ჩამოთვლილი სამსახურების ხელმძღვანელები და მოვისმინეთ მათი საქმიანობის დეტალური ანგარიში.

მეორე მიმართულება : ვარ სიღნაღის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე საბჭოს წევრი. საბჭო მუშაობს ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გენდერული პოლიტიკის გაძლიერების მიმართულებით.

6 დეკემბერს სოფელ ნუკრიანის ადმინისტრაციულ შენობაში ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის შესახებ საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები შევხვდით მოსახლებას. კამპანია გენდერული ძალადობისა და დისკრიმინაციის პრობლემებთან დაკავშირებით საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას ისახავდა მიზნად.

ჩემი ჩართულობით დაიგეგმა და მიმდინარეობს შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით

- სოფ. ნუკრიანის სკვერში საბავშვო ატრაქციონების მოწყობა (36 981.12)ლარი.

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან:

- სოფ. ნუკრიანში სპორტული დარბაზის მშენებლობა (445 836.97) ლარი
- სოფ. ნუკრიანის („ჭოტორის“ უბნის) საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს რომლის სახელშეკრულებო ღირებულებაა (1 021 540. 67) ლარი.
- სოფ. ნუკრიანში (კალოები) ე.წ. "ბასკოლიანთ" და "ფორიანთ" უბნის ს/გზის რეაბილიტაციო მიმდინარეობს რომლის სახელშეკრულებო ღირებულებაა (1 186 012.47) ლარი .

- ახალი სპორტული დარბაზის მშენებლობა დასრულდა. 225 კვ.მეტრის ფართობზე მოეწყო სპორტული კომბინირებული დარბაზი, სავარჯიშო სივრცე, საშხაპეები, გასახდელეები და ადმინისტრაციული ოთახი . მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული სპორტული დარბაზით არამხოლოდ ნუკრიანის, არამედ მეზობელი სოფლების მოსახლეობაც ისარგებლებს, რაც მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას შეუწყობს ხელს .
- სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერისა და მერის წარმომადგენლის მხარდაჭერით ნუკრიანში თვალის მიკროქირურგიის ჯავრიშვილის კლინიკა „ოფთალმიჯის“ ექიმებთან 150-მდე ადამიანმა ისარგებლა უფასო კვლევა-კონსულტაციით. მათ ჩაუტარდათ შესაბამისი კვლევები და დაესვათ დიაგნოზი.
- სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ნუკრიანში, „ჭოტორის“ უბნის გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. აღსანიშნავია, რომ „ჭოტორის“ უბანში დღემდე გზის საფარი არ დაგებულია და მოსახლეობას გადაადგილება უჭირდა.განახლებული საგზაო ინფრასტრუქტურით მოსახლეობა ოქტომბრიდან სარგებლობს.
- კახეთის რეგიონში მოსულმა სექცვამ და ძლიერმა ქარმა სოფელი ნუკრიანი მნიშვნელოვნად დააზარალა. ქარმა საცხოვრებელ სახლებს სახურავები გადახადა, მოგლიჯა ხეები, რამაც ელექტროგადამცემი ხაზების დაზიანება გამოიწვია.მოსახლეობის გაკვეთულ ნაწილს არ მიეწოდებოდა ელექტროენერგია.ენერგო-პრო სრულად მობილიზებული იყო პრობლემის აღმოსაფხვრელად .სტიქიის ზონაში მობილიზებული იყო პატრული, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სამამშველო ჯგუფები და მერიის შესაბამისი სამსახურები. მერის წარმომადგენელთან და ზარალის დამთვლელი მუდმივმოქმედი კომისიის წარმომადგენელთან ერთად შევხვდითმოსახლეობას და სტიქიის შედეგებს ადგილზე გავცანით. დაწყებულია ზარალის შესწავლა.მერია მათ ზარალის სრულ ანაზღაურებას დაპირდა.
- ნუკრიანის ორივე საჯარო სკოლის ბაზაზე უკვე ორი წელია ფუნქციონირებს რაგბის უფასო წრე. რაგბის პოპულარიზაციისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერის,მერის წარმომადგენლის , რაგბის ფედერაციის , ა(ა)იპ სპორტის განვითარების ცენტრის თაოსნობით და ჩემი ხელშეწყობით, სოფელ ნუკრიანში,სკოლის სტადიონზე კახეთის ზონის პირველობა - „ ქიზიყის ფარი“ ჩატარდა. ადგილობრივი ძალებით,სოციალურად დაუცველი პირების დასაქმების პროგრამაში ჩართული მოქალაქეების მონაწილეობით დავასუფთავეთ სტადიონი,გაითიბა ბალახი,დამონტაჟდა რაგბის კარი.შეკეთდა დაზიანებული ღობე.დაიდგა კარვები გულშემატკივართათვის. გამარჯვებული გუნდები შესაბამისი თასებითა და საპატიო დიპლომებით დაჯილდოვდნენ.
- სოფელ ნუკრიანს(ქვემო ნუკრიანის უბანში) ახალი სპორტული მოედანი აქვს. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მშენებლობა დასრულდა.სათამაშო მოედნის მშენებლობა რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და სიღნაღის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა, რომელზეც 460 012 ლარი დაიხარჯა.დასასრულებელია მხოლოდ სტადიონის განათება.შესაბამისი სამსახურები საქმის კურსში არიან და გვპირდებიან აღნიშნული პრობლემის უახლოეს მომავალში მოგვარებას.
- „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, ნუკრიანის სკვერში საბავშვო გასართობი ინფრასტრუქტურის მოწყობა დამთავრდა. ამ პროექტის ფარგლებში მოგვარდა გარე განათების პრობლემაც.
- საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ, ელისო ბოლქვაძემ და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელმა პირებმა სახელოვნებო განათლების მდგომარეობის შესწავლის მიზნით, სიღნაღის მუნიციპალიტეტში შეხვედრა გამართეს. შეხვედრაზე ელისო ბოლქვაძემ პედაგოგ-მასწავლებლებს სახელოვნებო განათლების რეფორმასთან დაკავშირებით კომიტეტის ხედვა გააცნო.შეხვედრას ჩემთან ერთად სოფელ

ნუკრიანის საჯარო სკოლების ხელოვნების, მუსიკისა და სამუსიკო სკოლის მასწავლებლებიც ესწრებოდნენ, სადაც იმ გამოწვევებზე ვისაუბრეთ, რაც სახელოვნებო განათლებაშია.

- „ქართული ოცნების“ ქალთა ორგანიზაციის მიერ ინიცირებული საინფორმაციო შეხვედრები კახეთში გრძელდება; როგორც ამ ორგანიზაციის სიღნაღის წარმომადგენელმა გამგეობის თავმჯდომარესთან თინათინ ხანჯალიაშვილთან და გამგეობის წევრ შორენა კუსრაშვილთან ერთად 21 აპრილს მოვაწყვეთ შეხვედრა სიღნაღის მუნიციპალიტეტის ოჯახის ექიმებთან და ექთნებთან. შეხვედრაზე ეკა ონიკაძემ (ოჯახის ექიმი და ქალაქ თელავის საკრებულოს წევრი) დეტალურად ისაუბრა ჯანდაცვის მიმართულებით სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამების შესახებ; საინფორმაციო შეხვედრის მიზანი სიღნაღში მოსახლეობის ინფორმირების უზრუნველყოფა და პრევენციული მედიცინის პოპულარიზაცია იყო. ასევე შევუერთდით „ვარდისფერი ოქტომბრის“ კამპანიას.
- სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქებსა და სოფლებში ნარჩენების შესაგროვებელი ურნების განთავსება მიმდინარეობს. აღნიშნული კონტეინერები მერიას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“, "მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროგრამა II-ის" ფარგლებში გადასცა. ნუკრიანს 25 ურნა გადაეცა, რომლებიც მოქალაქეებს მოთხოვნისა და საჭიროებების გათვალისწინებით გადავანაწილეთ.
- საანგარიშო პერიოდში მქონდა ინდივიდუალური შეხვედრები მოსახლეობასთან, მოვისმინე მათი პრობლემური და პრიორიტეტული საკითხები, რაც ძირითადად შეეხება: სოციალურად დაუცველთა პრობლემებს, მედიკამენტების, ოპერაციებისა და ჯანმრთელობისათვის აუცილებელი სარეაბილიტაციო კურსების დაფინანსებასა და ინფრასტრუქტურულ პრობლემებს. შესაბამისად, სოციალური დახმარების გაცემის პროგრამით სოფ. ნუკრიანში ისარგებლა 193-მა მოქალაქემ და მასზე დაიხარჯა 55 635 ლარი.

2022 წელს (ნოემბერი-დეკემბერი) შემოსულია 30 განცხადება და დაფინანსებულია 8900 ლარით. მათ შორის:

შშმ პირთა სოციალური დაცვა (3 განცხადება)-500ლ

მარტოხელა დედა(1 განცხადება)-100 ლ.

სამედიცინო დახმარების მუხლი(10 განცხადება)-6250 ლ.

განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა ერთჯერადი სოც.დახმარება(16 განცხადება)-2050 ლ.

2023 წელს - 163 განცხადება დაფინანსებულია 46 735 ლ-ით. მათ შორის:

ვეტერანის დაკრძალვის ხარჯი(1 განცხადება)-350 ლ.

ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დახმარება(4 განცხადება)-750 ლ.

შშმ პირთა სოც. დახმარება (14 განცხადება)-2350 ლ.

მარტოხელა და მარჩენალდაკარგული მშობლების სოც.დაცვა(8 განცხადება)-1250 ლ.

სამედიცინო დახმარების მუხლი(34 განცხადება) -16 735 ლ

სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურება(1 განცხადება)-5000 ლ.

ობოლი სტუდენტების სწავლის დაფინანსება-2250 ლ.

განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა ერთჯერადი სოც. დახმარება(99 განცხადება)-18 050 ლ.

- კვლავ აქტიურად ვთანამშრომლობ საქართველოს წითელი ჯვრის სიღნაღის ფილიალთან. ერთობლივად ვებმარებით სოციალურად დაუცველსა და შშმ პირებს სასურსათო ამანათებითა და ჰიგიენური საფენებით.

- წელსაც, ისევე როგორც გასულ წელს , ვმონაწილეობ პრემიერ-მინისტრის ინიცირებულ საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების მასშტაბური პროგრამის განხორციელებაში. პროექტი სოციალური შემწეობის მიმღები, შრომისუნარიანი პირების დასაქმებას ისახავს მიზნად.
- პერიოდულად მაქვს სამუშაო შეხვედრები სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერთან სოფელ ნუკრიანში მიმდინარე და შესრულებული სამუშაოების ანალიზისა და პრობლემების განხილვის მიზნით. ვთანამშრომლობ მერიის სამსახურთან და ყველა შესაბამის სრუქტურასთან, რასაც დადებითი შედეგი მოაქვს მოსახლეობის პრობლემების მოგვარების საკითხებში.

დასასრულს,მინდა, კიდევ ერთხელ მადლობა გადაგიხადოთ არჩევნებში მხარდაჭერისა და ნდობის გამოცხადების გამო. ვაგრძელებ აქტიურ მუშაობას სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, ასევე კომუნიკაციას ნუკრიანის მაცხოვრებლებთან, ვეცნობი მათ პრობლემებს და მაქსიმალურად, ჩემი კომპეტენციისა და კანონმდებლობის ფარგლებში ვცდილობ, გადავჭრათ პრობლემატური საკითხები.

ნინო ბახტურიძე-მაჟორიტარი დეპუტატი სიღნაღის საკრებულოში